

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი № 09

„16“ ივნისი 2022 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
თენგიზი მთვარელიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დალუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ლევან ბერძენაშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი
რესურსების კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ
ხანჯალიაშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის
თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ლაღანიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მედეა ჩფურიშვილი.

დღის წესრიგი:

1. სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად
გადანაწილების შესახებ.

მოსმინეს: 1. სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად
გადანაწილების შესახებ.

თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიიდან
შემოსული პროექტები.

აზრი გამოთქვას: თ.ხანჯალიაშვილმა, ზ.ლილუაშვილმა

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები
საკრებულოს კომისიებში გადანაწილდეს შემდეგი სახით:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
1. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე. დანართი: სამართლებრივი აქტების პროექტები.

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი